**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# არანი

არანი, არ-რანი (ქართ. წყაროებით

–

რანი, არანი, სომხ.

–

რანი, სირ.

–

არანი, ბერძნ. – არიანია), კავკასიის ალბანეთის (იხ. ალბანეთი კავკასიისა) ტერიტორიის აღმნიშვნელი არაბიზებული სახელწოდება.

IX–X სს. და მომდევნო საუკუნეების წყაროების მიხედვით ა. მოიცავდა მდ. მტკვრისა და მდ. არაქსის შუამდინარეთის ველის რ-ნს (ახლანდ. მილის ველი), ქ-ებით: ბარდა, განჯა, ბაილაყანი (პაიტაკარანი). „არანიდან“ წარმოდგება ადგილ. მმართველთა დინასტიური ტიტული „არანშაჰი“.